მცირდება, მის ადგილს ცივილიზაცია იკავებს. კულტურა ეროვნული უნიკალური თვითმყოფადობის გამოვლინების ფორმაა, მაშინ როდესაც ცივილიზაცია ხალხების ინსტიტუციონალური არსებობის უნივერსალიზაციის, უნიფორმიზაციის ინსტრუმენტია. ამიტომაა, რომ რელიგიური, აქედან გამომდინარე, ეროვნული ფასეულობებისადმი გულგრილობას ეროვნული თვითმყოფადობის შესუსტება მოაქვს.

თეიმურაზ ბუაძე

თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ეროვნული ცნობიერება - ფასეულობები, დანიშნულება, თვითმყოფადობა

თეზისები

- **ერი** ან **ეროვნული ორგანიზმი** საერთო ისტორიული წარმომავლობის მქონე ადამიანებია, რომლებსაც საერთო ტრადიციული რელიგიურ-კულტურული ფასეულობები აერთიანებს. ეროვნული სხეული დროშია გაჭიმული. ის ერთდროულად მოიცავს წინაპრებს, ფიზიკურად არსებულ პირებსა და მომავალ თაობას. მათ დროში ფასეულობები აერთიანებს. ამ უწყვეტობის აღმნიშვნელია სწორედ სიტყვა „ორგანიზმი“. ფასეულობების გაცნობიერება, მათი დაცვა და მათდამი მსახურება **ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების** ერთადერთი გზაა. წინაპრებთან ფასეულობითი კავშირი სამმხრივი გზით ხორციელდება: ეკლესია, ეროვნული ტრადიციები და ოჯახური გარემო.

- ფსევდოფასეულობებისგან განსხვავებით, **ჭეშმარიტი ფასეულობების** პირდაპირი თუ არაპირდაპირი წყარო რელიგიური რწმენაა. ამის გარეშე ის ზედროულობას ვერ შეიძენდა. ჭეშმარიტი ფასეულობები დამოკიდებული არაა დროზე, ისინი დაღდასმულნი არ არიან ეპოქალური შეზღუდულობებით. ამიტომ, მათი დაცვა და მსახურება

ერთნაირად ეგების ყველგან და ყოველთვის. ყოველი ერი რელიგიური ფასეულობების გაცნობიერებისა და დაცვის ისტორიულ პროცესში ქმნის ეროვნულ სიწმინდეებს, კულტურასა და ცხოვრების წესს, მათ მომავალ თაობაზე გადასაცემად კი ეროვნულ და ოჯახურ ტრადიციებს აყალიბებს, რადგან სწორედ ტრადიცია ასწავლის ადამიანს, რას უნდა სცემდეს პატივს და რას არა. ერი თავისი არსებობის ისტორიულ გზაზე ასე ქმნის **ჭეშმარიტ ეროვნულ ფასეულობებს.** ჭეშმარიტი ეროვნული ფასეულობები ისტორიულად, დროში ყალიბდება და ვლინდება, მაგრამ მათი წყარო ზედროული რელიგიური ფასეულობებია. ამით განსხვავდება ჭეშმარიტი ეროვნული ფასეულობები ფსევდოეროვნულისგან. ამ უკანასკნელის წყარო ისტორიული გარემოებებია. ის რაც მხოლოდ დროში პოულობს თავისი არსებობის წყაროს, დროშივე კარგავს აქტუალობას, დეგრადირდება ან იკარგება.

❖ ღმერთი, ისევე როგორც კერძო პიროვნებებს, ერებსაც **გარკვეული სულიერი მისიის** აღსასრულებლად ქმნის. ადამიანი მის სულიერ მისიას მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ემსახურებოდეს, ერი კი - მის ისტორიულ გზაზე. პიროვნებასა და ერს შორის არსებული ეს ანალოგიაა საფუძველი იმისა, რომ წმინდა წერილი ხშირად ხალხებს მათი მამამთავრის სახელით მოიხსენიებს. წმინდანის სულიერი მისია ყველაზე ცხადად მის ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ გარემოებებში იხილვება. ასევეა ერის შემთხვევაშიც. **ერის სულიერი მისია მისი წმინდანებისა და სულიერი სიქველით გამორჩეული წინაპრების ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ გარემოებებში ვლინდება.** ღვთაებრივი განგებულება როგორც პიროვნებებს ასევე ერებსაც მათი სულიერი

მისიის შესაფერის სათნოებებს, ძალას, ცხოვრებისეულ გარემოებებსა და ცხოვრების გზას აძლევს. ღვთის ნიჭები და განგებულება კი ყველაზე ნათლად წმინდანებში იკითხება. მაგალითად, თუ შენი ეროვნული წმინდანების აბსოლუტური უმრავლესობა მოწამეა, მაშინ შენი ეროვნული მისია რელიგიური რწმენის მოწამეობრივი დაცვისთვის მუდმივი მზადყოფნა და ჭეშმარიტი რწმენის ბოლომდე შენარჩუნებაა. ეროვნული ცნობიერების სიჯანსაღის, მომწიფებულობის უპირველესი ნიშანი საკუთარი სულიერი მისიის ანუ **დანიშნულების** სათანადო გაცნობიერება არის.

❖ მსოფლმხედველობრივი სეკულარიზმის თანამედროვე გარემოში პიროვნული იდენტობის საფუძვლად მისი მეტრიკული მონაცემები და ინდივიდუალური თავისებურებები მიიჩნევა. ასევე იქცევიან ხალხების შემთხვევაშიც. ნაციონალური იდენტობის მოდერნული კონცეფციები ამ იდენტობის საფუძველს მოდერნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას უკავშირებს. სინამდვილეში **ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველი ეროვნული დანიშნულების გაცნობიერება და მისი მსახურება ანუ ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „ეროვნული ვინაობის აღდგენა“ ანუ პოვნაა.** იქ, სადაც ეროვნულ ფასეულობებს, ანუ „ეროვნულ საუნჯეს“ უგულებელყოფენ, არ უვლიან და ივიწყებენ, ეროვნული კულტურა დეგრადირდება, რადგან ეროვნული კულტურის შინაგანი ენერგია უმაღლესი ფასეულობებისადმი ხელოვნების გზით გამოხატული მისწრაფებაა. როგორც კულტურათა ისტორიის გამორჩეული მცოდნე ოსვალდ შპენგლერი ამტკიცებს, იქ სადაც კულტურის შემოქმედებითი ძალა